სიცოცხლის დაზღვევის განვითარების დინამიკა საქართველოში

ანა ბეჟუაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის (სადაზღვევოსაქმე) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა „სადაზღვევო საქმე"

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა,
სრული პროფესორი,მედიცინის აკადემიური დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი,2015

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ანა ბეჟუაშვილი

20.06.2015

აბსტრაქტი

შესავალი მსოფლიოს უმეტეს ქვენებში სადაზღვევო ბაზრის სექტორში დომინირებს სიცოცხლის დაზღვევა. იგი განაპირობებს ოჯახის, შვილებისა თუ ბიზნესის სტაბილურობის უზრუნველყოფას ოჯახის მარჩენალის გარდაცვალების შემთხვევაში. ნაშრომის მიზანია საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე სიცოცხლის დაზღვევის განვითარების შესწავლა და მისი სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა. **მეთოდოლოგია:** კვლევა მოიცავს თვისობრივ კომპონენტებს და რაოდენობრივ ანალიზს არსებული სტატისტიკური ინფორმაციის საფუზველზე. თვისობრივი კომპონენტის ფარგლებში ჩატარდა ჩაღრმავებითი ინტერვიუ ექსპერტებთან, სადაზღვევო კომპანიების ფინანსურ წარმომადგენლებთან. **შედეგები:** საქართველოში სადაზღვევო საქმიანობის მნიშვნელოვანი პროდუქტი სიცოცხლის დაზღვევა, პრაქტიკულად განუვითარებელია. **დასკვნა, რეკომენდაციები:** საჭიროა სიცოცხლის დაზღვევის განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან. მოსახლეობისთვის, სიცოცხლის დაზღვევა, ფუფუნების წყაროდან უნდა გადაიქცეს აუცილებელ საჭიროებად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სადაზღვევო ბაზრის სექტორი, სიცოცხლის დაზღვევა, ანუიტეტები, საკანონმდებლო სისტემა.

მადლობა

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს პროფესორ თენგიზ ვერულავას. მან საკუთარი მოსაზრებებითა და რჩევებით მნიშვნელოვანი დახმარება აღმომიჩინა კვლევის ყველა ეტაპზე.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ექსპერტებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კვლევაში და მომაწოდეს საჭირო ინფორმაცია ჩემს მიერ დასმულ კითხვებთან დაკავშირებით. ასევე, მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვინც კვლევის პროცესში მიიღო მონაწილეობა .